ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი N2

ხარაგაული 24ივნისი 2021 წელი

სხდომის დაწყების დრო: 13 საათი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ შემდეგი წევრები:

1.ლალი სეგისკვერაძე

2.მაკა ქასრაშვილი

3. ვალერი გოგნაძე

4. როლანდი ცუცქირიძე

5.ნატო შათირიშვილი

6.რევაზ შერგელაშვილი

7.ავთანდილ კვინიკაძე

8.ჰამლეტ ბერაძე

9.მარიკა ხარატიშვილი

10.მანანა ტაბაშიძე

11. ნინო ჭიპაშვილი

12. სერგო შველიძე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი კობა ლურსმანაშვილი , მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი და მერის თანაშემწე ჟანა ნემსაძე.

მერის თანაშემწე გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ინგა ბერაძე.

სხდომის თავმჯდომარე: სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლის დირექტორი ვალერი გოგნაძე.

სხდომის მდივანი : სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეს საჯარო სკოლის დირექტორი ნატო შათირიშვილი

სხდომა გახსნა თავმჯდომარემ, ვალერი გოგნაძემ,მან სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის გაცნობა მრჩეველთა საბჭოსთვის.
   მომხსენებელი მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი პეტრე შარიქაძე

2. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმაციის გაცნობა მრჩეველთა საბჭოსთვის.
   მომხსენებელი მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის [illegible] ქალბატონი ნანა კიკნაძე.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხრე:12

წინააღმდეგი:0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

საკითხი 1. მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის გაცნობა მრჩეველთა საბჭოსთვის.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ დეტალურად ისაუბრა ძეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა პეტრე შარიქაძემ, მისივე ინფორმაციით, მიმდინარე წელს საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება ხარაგაულის 43 სოფელში,გარდა ამისა თერთმეტ ხიდს ჩაუტარდება რეაბილიტაცია,საერთო ჯამში, ამ მიმართულებით მიმდინარე წელს 7 მილიონამდე ლარი დაიხარჯება.

აზრი გამოთქვა: ბატონმა კობა ლურსმანასვილმა, მან აღნიშნა რომ იგი მკაცრად გააკონტროლებს ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების ხარისხს,

აზრი გამოთქვა: მრჩეველთა საბჭოს წევრმა სოფელ ბორითის მკვიდრმა ავთანდილ კვინიკაძემ, მან ისაუბრა სამუშაოების პასუხისმგებლიანი შემსრულებლების დეფიციტის შესახებ და თხოვა მერს მიაქციოს ყურადღება ამ საკითხს.

საკითხი 2. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმაციის გაცნობა მრჩეველთა საბჭოსთვის.

მერიის სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნანა კიკნაძემ, მან აღნიშნა , რომ მერის კობა ლურსმანასვილის უშუალო გადაწყვეტილებით სოციალური მიმართულებით 2021 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება და ძირითადად აქცენტი გაკეთდება ისეთ ოჯახებზე,რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ დახმარებას.

აზრი გამოთქვა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ბატონმა ვარლამ ჭიპაშვილმა, მან აღნიშნა, რომ მერია ითანამშრომლებს მრჩეველთა საბჭოსთან და მომდევნო წლის ბიუჯეტი, რომელიც საკრებულოს წარედგინება, მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე იქნება განხილული.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, საბჭოს წევრებმა მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის მერს თანამშრომლობისთვის, თავის მხრივ კობა ლურსმანაშვილმა მზაობა გამოთქვა შემდგომი ურთიერთობისათვის და ხაზგასმით განმარტა:

„თქვენი აქტიურობა და ჩართულობა არის მნიშვნელოვანი,როგორც სოციალური,ისე ინფრასტრუქტურული მიმართულებით. გარდა ამისა ბიუჯეტის დაგეგმვის პერიოდში მინდა იყოთ აქტიურები და მოგვაწოდოთ წინადადებები, თუ რისი გაკეთება სურს მოსახლეობას. მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიზანი ადგილობრივი თვითმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობაა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან .

დაკავშირებით სხდომა შეწყდა.

სხდომის დასრულების დრო 15 საათი

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე: /ვ.გოგნაძე/

მრჩეველთა საბჭოს მდივანი: ნ. შათირიშვილი /ნ. შათირიშვილი/